განმარტებითი ბარათი

„პატიმრობის კოდექსში ცვლილების შეტანის შესახებ“ საქართველოს კანონის პროექტზე

ა) ზოგადი ინფორმაცია კანონპროექტის შესახებ

ა.ა) კანონპროექტის მიღების მიზეზი

კანონპროექტის მიღებას განაპირობებს საქართველოს კონსტიტუციის მთელი რიგი ნორმების ამოქმედება, რომელიც დაკავშირებულია 2013 წლის საპრეზიდენტო არჩევნების შედეგად არჩეული პრეზიდენტის მიერ ფიცის დადების მომენტთან. მოქმედი რედაქციით პრემიერ-მინისტრი უფრო ადმინისტრაციული ფიგურაა, ვიდრე პოლიტიკური თანამდებობის პირი. ვინაიდან, საკანონმდებლო ცვლილებებით მნიშვნელოვნად გაიზრდება პრემიერ-მინისტრის როლი და უფლებამოსილებები, ის მმართველობის სფეროში უმაღლესი თანამდებობის პირი ხდება. შესაბამისად, მიზანშეწონილია კონსტიტუციური ცვლილებით დარეგულირებულმა საკითხებმა ასახვა ჰპოვოს პატიმრობის კოდექსის ზოგიერთ მუხლში წარმოდგენილი კანონპროექტის შესაბამისად.

ა.ბ) კანონპროექტის მიღების მიზანი

კანონპროექტის მიღების მიზანია იმ პირთა წრის გაფართოება, რომლის სახელზე ბრალდებულის/მსჯავრდებულის მიერ გაგზავნილი განცხადების, მოთხოვნისა და საჩივრის შეჩერება და შემოწმება ეკრძალება ადმინისტრაციას, რომელსაც უფლება აქვს ისარგებლოს პატიმრობის/თავისუფლების აღკვეთის დაწესებულებაში სპეციალური ნებართვის გარეშე შესვლის უფლებით, რომლის სახელზე ბრალდებულის/მსჯავრდებულის მიერ დისციპლინური გადაცდომისათვის დაკისრებული სახდელის (პირადი ხასიათის კორესპონდენციის მიღება-გაგზავნის უფლების შეზღუდვა არა უმეტეს 3 თვის ვადით) მოქმედების პერიოდში გაგზავნილ კორესპოდენციაზე არ უნდა გავრცელდეს გათვალისწინებული შეზღუდვა.

ა.გ) კანონპროექტის ძირითადი არსი

კანონპროექტის მიხედვით, იმ პირთა წრეს, რომლის სახელზე ბრალდებულის/მსჯავრდებულის მიერ გაგზავნილი განცხადების, მოთხოვნისა და საჩივრის შეჩერება და შემოწმება ეკრძალება ადმინისტრაციას, რომელსაც უფლება აქვს ისარგებლოს პატიმრობის/თავისუფლების აღკვეთის დაწესებულებაში სპეციალური ნებართვის გარეშე შესვლის უფლებით, რომლის სახელზე ბრალდებულის/მსჯავრდებულის მიერ დისციპლინური გადაცდომისათვის დაკისრებული სახდელის (პირადი ხასიათის კორესპონდენციის მიღება-გაგზავნის უფლების შეზღუდვა არა უმეტეს 3 თვის ვადით) მოქმედების პერიოდში გაგზავნილ კორესპოდენციაზე არ უნდა გავრცელდეს გათვალისწინებული შეზღუდვა, დაემატა პრემიერ-მინისტრი.

ბ) კანონპროექტის ფინანსური დასაბუთება

ბ.ა) კანონპროექტის მიღებასთან დაკავშირებით აუცილებელი ხარჯების დაფინანსების წყარო:

კანონპროექტის მიღება არ გამოიწვევს დამატებითი სახსრების გამოყოფას სახელმწიფო ბიუჯეტიდან.

ბ.ბ) კანონპროექტის გავლენა ბიუჯეტის საშემოსავლო ნაწილზე:

კანონპროექტის მიღება გავლენას არ მოახდენს ბიუჯეტის საშემოსავლო ნაწილზე

ბ.გ) კანონპროექტის გავლენა ბიუჯეტის ხარჯვით ნაწილზე:

კანონპროექტის მიღება არ იწვევს დამატებით ხარჯებს.

ბ.დ) სახელმწიფოს ახალი ფინანსური ვალდებულებები:

კანონპროექტის მიღება არ წარმოშობს ახალ ფინანსურ ვალდებულებებს.

ბ.ე.) კანონპროექტის მოსალოდნელი ფინანსური შედეგები იმ პირთათვის, რომელთა მიმართაც ვრცელდება კანონპროექტის მოქმედება:

კანონპროექტის მიღება არ წარმოშობს არანაირ ფინანსურ შედეგს იმ პირთათვის, რომელთა მიმართაც ვრცელდება კანონპროექტის მოქმედება.

ბ.ვ.) კანონპროექტით დადგენილი გადასახადის, მოსაკრებლის ან სხვა სახის გადასახდელის ოდენობა და ოდენობის განსაზღვრის წესი:

კანონპროექტით არ ხდება რაიმე გადასახადის, მოსაკრებელის ან სხვა სახის გადასახდელის დაწესება.

გ) კანონპროექტის მიმართება საერთაშორისო სამართლებრივ სტანდარტებთან:

გ.ა) კანონპროექტის მიმართება ევროკავშირის დირექტივებთან:

კანონპროექტი არ ეწინააღმდეგება ევროკავშირის დირექტივებს;

გ.ბ) კანონპროექტის მიმართება საერთაშორისო ორგანიზაციებში საქართველოს წევრობასთან დაკავშირებულ ვალდებულებებთან:

კანონპროექტი შეესაბამება საერთაშორისო ორგანიზაციებში საქართველოს წევრობასთან დაკავშირებულ ვალდებულებებს;

გ.გ) კანონპროექტის მიმართება საქართველოს ორმხრივ და მრავალმხრივ ხელშეკრულებებთან:

კანონპროექტი არ ეწინააღმდეგება საქართველოს ორმხრივ და მრავალმხრივ ხელშეკრულებებს;

დ) კანონპროექტის მომზადების პროცესში მიღებული კონსულტაციები:

დ.ა) სახელმწიფო, არასახელმწიფო ან/და საერთაშორისო ორგანიზაცია/დაწესებულება, ექსპერტები, რომლებმაც მონაწილეობა მიიღეს კანონპროექტის შემუშავებაში, ასეთის არსებობის შემთხვევაში;

კანონპროექტის შემუშავებაში მონაწილეობა არ მიუღია სახელმწიფო, არასახელმწიფო, არასამთავრობო და საერთაშორისო ორგანიზაცია/დაწესებულებების წარმომადგენლებს.

დ.ბ) კანონპროექტის შემუშავებაში მონაწილე ორგანიზაციის (დაწესებულების) ან/და ექსპერტის შეფასება კანონპროექტის მიმართ, ასეთის არსებობის შემთხვევაში:

ასეთი არ არსებობს;

ე) კანონპროექტის ავტორი:
საქართველოს პარლამენტის წევრი თამაზ ავდალიანი
ვ) კანონპროექტის ინიციატორი:
საქართველოს პარლამენტის წევრი თამაზ ავდალიანი